

მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის როვშან ისკანდაროვი სადახლოს ადმინისტრაციული ერთეულის სოფლების მოსახლეობასთან შეხვედრის

ოქმი N1

ქ. მარნეული

„-11-„09-.2019

წელი

შეხვედრას ესწრებოდნენ:

საკრებულოს წევრები: - როვშან ისკანდაროვი, ამირან გიორგაძე, მამუკა ნავერიანი, ბესიკ გელენიძე, გივი გიორგაძე, რომან ტაბატაძე.

სხდომას ესწრებოდა- სადახლოს ადმინისტრაციული ერთეულის სოფლების: სადახლო, ხულდარა, მოლაოღლი, ჯანხოში ს მოსახლეობა, მარნეულის მუნიციპალიტეტის მერი ზაურ დარგალი, მარნეულის მაჟორიტარის პარლამენტის წევრის თამაზ ნავერიანის ბიუროს უფროსი აგილ ამირჯანოვი, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საზოგადოებასთან, მედიასთან, არასამთავრობო სექტორთან ურთიერთობის და გენდერული საკითხების განყოფილების სპეციალისტები არჩილ მდივნიშვილი, ხოშგადამ ნოვრუზალოვა და მარიანა გვრიტიშვილი

განსახილველი საკითხების დღის წესრიგი:

1. მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, სადახლოს ადმინისტრაციული ერთეულის მაჟორიტარი დეპუტატის როვშან ისკანდაროვის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ.

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრმა, სადახლოს ადმინისტრაციული ერთეულის მაჟორიტარმა დეპუტატმა როვშან ისკანდაროვმა სადახლოს ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალი სოფლების (სადახლო, ხულდარა, მოლაოღლი, თაზაქენდი, ბურმა) მოსახლეობას წარუდგინა 2019 წლის ანგარიში. საკრებულოს წევრი შეეხო სადახლოს ადმინისტრაციულ ერთეულში 2019 წელს განხორციელებულ ინფრასტრუქტურულ პროექტებს. აღინიშნა, რომ მიმდინარე წელს სოფელ სადახლოში განხორციელდა სასმელი წყლის რეაბილიტაცია, გარე განათების მოწყობა, ასევე სადახლოს სასწრაფოს მშენებლობა. სოფელ ხულდარაში სასმელი წყლის სისტემის მოწყობა

და გარე განათების სამუშაოები შესრულდა.სოფელ მოლაოდლიში ხიდის რეაბილიტაცია განხორციელდა.სოფელ თაზაქენდში გარე განათების სამუშაოები შესრულდა .სოფელ ბურმაში ჭაბურღილის მოწყობა განხორციელდა,ასევე შიდა გზები მოიხრემა.

აზრი გამოთქვას: მოსახლეობამ ისაუბრა იმ პრობლემებზე, რომელიც აწუხებს სოფელი სადახლოს მოსახლეობას.ჩამოთვლილი პრობლემებიდან ყველაზე აქტუალურია შიდა გზების მოასფალტება,საზოგადოებრივი ტრანსპორტი, ქუჩების სახელდება,სანიაღვრე არხების გაწმენდა და რეაბილიტაცია,ტრამპლინების გაკეთება. სოფელი ხულდარას მოსახლეობამ სოფლის მთავარ პრობლემად სოფლამდე მისასვლელი გზის რეაბილიტაცია,სასმელი წყლის რეზერვარის და სკოლის მშენებლობა დაასახელა.

სოფელი მოლაოდლის მოსახლეობამ სოფლის მთავარ პრობლემად სასმელი წყლის რეაბილიტაცია, სოფლამდე მისასვლელი გზის და შიდა გზების რეაბილიტაცია,სკვერის მოწყობა,ნაგვის ურნები, მინი სტადიონი,საბავშვო ბაღი,სკოლის რეაბილიტაცია და სასწრაფოს მშენებლობა.

სოფელი თაზაქენდის მოსახლეობამ პრიორიტეტულ პრობლემად სასმელი წყლის რეაბილიტაცია, სოფლამდე მისასვლელი გზის და შიდა გზების მოასფალტება,სარწყავი წყლის რეაბილიტაცია, ტრამპლინები,სკოლის რეაბილიტაცია,გარე განათება,სტადიონის რეაბილიტაცია,საბავშვო ბაღის მშენებლობა, ნაგვის ურნები.

სოფელი ბურმას მოსახლეობამ სარწყავი წყლისა და სასმელი წყლის არ არსებობა დააყენა სოფლის მთავარ პრობლემად.

გადაწყვიტეს: მოსახლეობამ დადებითად შეაფასა მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, სადახლოს ადმინისტრაციული ერთეულის მაჟორიტარი დეპუტატის როგმან ისკანდაროვის გაწეული მუშაობის ანგარიში.